



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების
კლასტერის შესახებ

„ტურიზმის“ საბაკალავრო და „ტურიზმის მენეჯმენტის (I და II ნაწილი)“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვიზიტის თარიღი 21 - 4 - 2026

დასკვნის წარდგენის თარიღი 09. 7. 2026 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი სსიპ -საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	არმანდ ფაგანელი, პრიმორსკის უნივერსიტეტი, სლოვენია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დევიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარი რაზმაძე ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ქართულად	ტურიზმი	ტურიზმის მენეჯმენტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Tourism	Tourism Management
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ტურიზმის ბაკალავრი	პირველი ნაწილი - ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრი მეორე ნაწილი - კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება Travel, Tourism and Leisure	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება Travel, Tourism and Leisure
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹	-	-

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	185	120 (60+60)
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებულ ი/არა- აკრედიტებული /	ახალი	ახალი
(აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საე რთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)		

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

კლასტერში გაერთიანებული პროგრამები უმატეს შემთხვევაში შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია“ სტანდარტის მოთხოვნებთან, გამონაკლისია პირველი სტანდარტი, სადაც ორივე პროგრამა შეფასდა, როგორც „მეტწილად“ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ასევე, „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა მე - 2 სტანდარტთან მიმართებითაც შეფასდა, როგორც, „მეტწილად“ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და ტურიზმის ორი სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს ახლად შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც შექმნილია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რომელიც ეფუძნება რეგიონის განვითარებისათვის ამგვარი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებისა და მნიშვნელობის აღიარებას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2026 წლის 17 აპრილს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრის მიერ შეირჩა ექსპერტთა ჯგუფი. 2026 წლის 15 მაისს ექსპერტებმა ჩაატარეს ონლაინ შეხვედრა, რომლის მიზანი იყო ერთმანეთის გაცნობა, ფუნქციების განაწილება და შემდგომი სამუშაო გეგმის შეთანხმება. აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა 2026 წლის 21 მაისს წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. შეფასების პროცესი წარიმართა ჰიბრიდულ ფორმატში: ადგილობრივი ექსპერტები ვიზიტში მონაწილეობდნენ ფიზიკურად, ხოლო საერთაშორისო ექსპერტი პროცესს Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით შეუერთდა. ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაცია სხვადასხვა წყაროს მეშვეობით გადაამოწმა. ექსპერტებმა ასევე მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც მათ ნაწილობრივ ვიზიტის მიმდინარეობისას, ხოლო ნაწილობრივ შემდგომ პერიოდში მიეწოდათ. ინტერვიუების ჩატარების გარდა, ექსპერტებმა დაათვალიერეს და შეაფასეს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა. ვიზიტი კოლეგიალურ და კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტებმა გააანალიზეს მოპოვებული ინფორმაცია, თითოეულმა ექსპერტმა მოამზადა მისთვის განსაზღვრულ სტანდარტებთან დაკავშირებული შეფასების ნაწილი, რის საფუძველზეც შედგა ერთიანი დასკვნა, რომელიც შემდგომ ცენტრს წარედგინა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციაზე წარდგენილი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. ექსპერტებმა გასცეს გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებმაც შესაძლოა კიდევ უფრო

გაუმჯობესოს სწავლების ხარისხი.

▪ რეკომენდაციები

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს სწავლებისა და კვლევის პროცესებში გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი წესები. (2.4)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დანერგოს ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული მასალების იდენტიფიცირების შესაბამისი ელექტრონული პლატფორმა აკადემიური კეთილსინდისიერების მხარდაჭერისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. (2.4)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ტურიზმის მიმართულებით საკუთარი აკადემიური პროფილი ტურიზმის სფეროში სპეციალიზებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის გზით, რათა უკეთ უპასუხოს დარგის სპეციფიკურ მოთხოვნებს და უზრუნველყოს ტურიზმის განათლების დისციპლინურ საჭიროებებთან უფრო მჭიდრო შესაბამისობა. (4.1)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ამასთან, შენარჩუნებული უნდა იყოს სწავლის შედეგების მიღწევის თანმიმდევრობა და პროგრესიის დონეები, ხოლო შეფასების პერიოდულობა მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. აღნიშნულ პროცესში აუცილებელია პროგრამის ხელმძღვანელობის, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების აქტიური მონაწილეობა, უნივერსიტეტის სტანდარტების გათვალისწინებით. (5.1)

პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა „ტურიზმი“)

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსისთვის - „ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიები“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ტურიზმის შესავალი“, ხოლო თავად კურსი გადატანილ იქნას მეორე ან მესამე სემესტრში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების შესაბამის დონეზე მიღწევა. (1.4)
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსისთვის „საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ტურიზმის შესავალი“, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ტურიზმის ძირითადი ცნებებისა და თეორიების აუცილებელი საბაზისო ცოდნა. (1.4)
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსისთვის „საექსკურსიო საქმე და გიდის ხელოვნება“ წინაპირობებად განისაზღვროს სასწავლო კურსები „ტურიზმის შესავალი“, „ტურიზმის გეოგრაფია“ და „საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“, რათა ხელი შეეწყოს კურსის სწავლის შედეგების

ეფექტიან მიღწევას. (1.4)

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების - „კულტურული მემკვიდრეობა და მსოფლიო ისტორია“ და „კულტურული ტურიზმი“ სილაბუსები და ისინი გაერთიანდეს ერთი სახელწოდების - „კულტურული ტურიზმის“ ქვეშ. ასეთი ინტეგრაცია ხელს შეუწყობს შინაარსობრივი დუბლირების თავიდან აცილებას, თემების ლოგიკური თანმიმდევრობის გაუმჯობესებას, მასალების განმეორებასთან დაკავშირებული სტუდენტური დატვირთვის შემცირებას და კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების უფრო ეფექტიან განხორციელებას. (1.5)
- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომი შესრულდეს ინდივიდუალურად, რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სტუდენტის ცოდნის, კომპეტენციებისა და აკადემიური მიღწევების უფრო ზუსტი და ობიექტური შეფასება. (1.5)

პროგრამა (სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმის მენეჯმენტი“) პროგრამის

პირველი ნაწილი

- რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა: „ტურიზმის სტრატეგიული მენეჯმენტი“; „მენეჯერული ეკონომიკა და კორპორაციული ფინანსები“; ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია და ლიდერობის უნარები; ბიზნესეთიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა. (1.5)

პროგრამის მეორე ნაწილი

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და აკადემიური კომუნიკაცია“ და „ტურიზმის სოციოლოგია და ანთროპოლოგიური კვლევა“ ჩანაცვლდეს სასწავლო კურსებით „ტურიზმის თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „ტურიზმის რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს სტუდენტთა კვლევითი კომპეტენციების გაძლიერებას და პროგრამაში მეთოდოლოგიური მომზადების გაუმჯობესებას. (1.4)
- რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსი „გლობალური ტურიზმის პოლიტიკა და სტრატეგიული დიაგნოსტიკა“ და მისი სახელწოდება ჩამოყალიბდეს როგორც „ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“, რათა უკეთ შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას. (1.4)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსი „ინოვაციური მენეჯმენტი“, რათა მისი სილაბუსი მეტად შეესაბამებოდეს ტურიზმის სფეროს სპეციფიკას,

რის შედეგადაც კურსი ჩამოყალიბდეს უფრო ზუსტი სახელწოდებით - „ინოვაციების მართვა ტურიზმში“. (1.4)

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „რისკის თეორია და მედეგობის კვლევები“ ჩანაცვლდეს კურსით „რისკების მართვა და მედეგობა ტურიზმში“, რათა გაძლიერდეს მისი პრაქტიკული და დარგობრივი ორიენტაცია. (1.4)
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „სამეცნიერო კვლევის დიზაინი და აკადემიური კომუნიკაცია“, „ტურიზმის თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „ტურიზმის რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ განისაზღვროს წინაპირობებად „კვლევითი პრაქტიკისა“ და „სამაგისტრო ნაშრომის“ კომპონენტებისთვის. (1.4)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგებისა და ცალკეული სასწავლო კურსების შესაბამისობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა, მათი თანმიმდევრული განვითარება და კურსების შინაარსობრივ მიზნებთან შესაბამისობა. (1.4)
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ეთიკა, ფილოსოფია და ადამიანის უფლებები ტურიზმში“ გადაიხედოს, შესწორდეს ან ჩანაცვლდეს უფრო დარგობრივი კურსით, მაგალითად, „ტურიზმის ეთიკა და ფილოსოფია“, პროგრამის მიზნებთან მისი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით. (1.4)
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რათა მთელ პროგრამაში უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა კომპეტენციების თანმიმდევრული განვითარება. (1.5)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს კრედიტების, საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათების განაწილება, რათა ის სრულად შეესაბამებოდეს სასწავლო კურსების დატვირთვას, შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. (1.5)
- რეკომენდებულია, სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა განახლდეს და გამრავალფეროვნდეს თანამედროვე აკადემიური მიდგომებისა და ტურიზმის სფეროში არსებული აქტუალური ტენდენციების შესაბამისად, რათა უკეთ უზრუნველყოთ როგორც კურსების, ისე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. (1.5)
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის შესახებ მოთხოვნებში გათვალისწინებული იყოს ინგლისურენოვანი აბსტრაქტი და შესაბამისი ცვლილება აისახოს სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელ დოკუმენტში. ინგლისურენოვანი აბსტრაქტის არსებობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდა

▪ რჩევები

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური კეთილსინდისიერების მარეგულირებელი წესების შესახებ.
- სასურველია, ლექტორებმა ტექსტის მსგავსება შეამოწმონ არა მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების, არამედ სასწავლო კურსების ინდივიდუალური წერითი დავალებების შემთხვევაშიც.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტების ინფორმირებულობა სამაგისტრო სწავლების მარეგულირებელი დებულებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.
- სასურველია, უნივერსიტეტმა აამაღლოს სტუდენტების ცნობიერება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ფორმის შესახებ და გააძლიეროს მათთან კომუნიკაცია აღნიშნული ფორმის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით.
- სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, გამოკითხვების გარდა, შეიმუშაონ დამატებითი ეფექტიანი ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების არსებით ჩართულობას პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესებში.
- სასურველია, პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები.

პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა „ტურიზმი“)

- სასურველია, საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიეთითოს ერთიანი ეროვნული გამოცდის შესაბამისი საგანი (საგნები), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №92/ნ ბრძანების შესაბამისად.
- სასურველია, დაწესებულებამ სასწავლო პროცესისთვის შეიძინოს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა „Global Reservation Systems“.

პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმის მენეჯმენტი“)

- არ არის მითითებული.

პროგრამა (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა - მეორე ნაწილი)

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას, სამეცნიერო ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამაგისტრო სწავლების მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრული სტრუქტურის დაცვას.
- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად**
 - **პერსონალი და ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი), მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტებისა და/ან დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა; ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სქემა ;
 - თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ კლასტერის პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობა შემდეგია:

პროგრამა 1 – ტურიზმი (საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი - 37(მათ შორის: აკადემიური პერსონალი - 21, პროფესორი - 3;

– ასოცირებული პროფესორი – 17; ასისტენტ-პროფესორი – 1; ასისტენტი – 0; მოწვეული პერსონალი – 16; სამეცნიერო პერსონალი – 0).

დარგობრივი კომპეტენციის მქონე პერსონალი - 14 (მათ შორის: მოწვეული პერსონალი – 2); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი – 14 (მათ შორის მოწვეული პერსონალი – 2); აფილირებული აკადემიური პერსონალი –

– 20 (მათ შორის: პროფესორი – 3; ასოცირებული პროფესორი – 16; ასისტენტ-პროფესორი – 1).

პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)

აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა – 15 (მათ შორის: პროფესორი – 1; ასოცირებული პროფესორი – 8; მოწვეული პერსონალი – 6); დარგობრივი კომპეტენციის მქონე პერსონალი – 8 (მათ შორის მოწვეული პერსონალი – 2); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი – 8 (მათ შორის მოწვეული პერსონალი – 2); აფილირებული აკადემიური პერსონალი – 7.

პროგრამა 3 (კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში)

აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა – 13 (მათ შორის: პროფესორი – 1; ასოცირებული პროფესორი – 6; ასისტენტ-პროფესორი – 0; ასისტენტი – 0; მოწვეული პერსონალი – 6); დარგობრივი კომპეტენციის მქონე პერსონალი – 6; დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი – 7; აფილირებული აკადემიური პერსონალი – 7.

კლასტერში შემავალი პროგრამების სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა – 10 (მათ შორის პროგრამა 1-ისთვის: პროფესორი - 1 ; ასოცირებული პროფესორი - 6; მოწვეული პერსონალი -2; დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები - 10, მათ შორის მოწვეული - 1; აფილირებული აკადემიური პერსონალი - 7).

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის² მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კლასტერის პროგრამებში ჩართული პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების საერთო რაოდენობა შეადგენს 169-ს (მათ შორის: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები – 72; საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები – 30; ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა – 20; საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა – 25; სხვა სამეცნიერო საქმიანობა – 22).

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ კლასტერის პროგრამებში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებლები შემდეგია:

პროგრამა 1 -ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა:

პენსიაზე გასული პერსონალის რაოდენობა – 0%; დაწესებულებიდან წასული პერსონალის რაოდენობა – 0%; ახალი პერსონალის რაოდენობა – 3; პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი – 100%.

პროგრამები 2 და 3: პენსიაზე გასული პერსონალის რაოდენობა: – 0; დაწესებულებიდან წასული პერსონალის რაოდენობა – 0; ახალი პერსონალის რაოდენობა – 0; პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი. 100%

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.
- **თვითშეფასებასა და დანართებში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.**

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)3

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სრულად აღჭურვილი ბავშვთა მოვლის სივრცე, რომელიც მცირეწლოვანი შვილების მქონე სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს უსაფრთხო და ბავშვზე მორგებულ გარემოს. აღნიშნული სერვისი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ სრულფასოვან და უწყვეტ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ამცირებს განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ ბარიერებს და ხელს უწყობს აკადემიური და ოჯახური პასუხისმგებლობების უკეთ დაბალანსებას. ეს არის განსაკუთრებულად ეფექტიანი პრაქტიკა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სანიმუშო ან მისაბადი მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ისთვის.

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციებს და ასევე ზოგიერთ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწყებული აქვს მუშაობა

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.
- სადოქტორო [საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით](#) დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში [უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან](#) ერთად.
-
- სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ლინკი):
- [უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)
- [უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)
- [სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი](#)
- [აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა](#)

▪ შეფასების კრიტერიუმები

▪ **განმარტებები:**

- **რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- **რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის პროგრამების კლასტერის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით: კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში - ინდივიდუალური შეფასება.

კლასტერული შეფასება: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამების ერთიანი მახასიათებლის ნიშნით.

ინდივიდუალური შეფასება: საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. **პროგრამის ინდივიდუალური შეფასება** მნიშვნელოვანია განხორციელდეს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სხვა ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც გაიცემა - რეკომენდაცია ან/და რჩევა.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

№	შინაარსი/სტანდარტი	პროგრამა 1 ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამა 2 ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
---	--------------------	---	---

1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

2.4	სტუდენტის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.	სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	არ შეფასებულა	შესაბამისობაშია
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	არ შეფასებულა	შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4. 4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

ტურიზმისა და ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი წარმოადგენს კარგად სტრუქტურირებულ, თანმიმდევრულ და აკადემიურად გამართულ სისტემას, რომელიც ეფექტიანად ასახავს როგორც დარგის სპეციფიკას, ისე უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურების მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულთა სამიზნე პროფილს. პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება ტურიზმის განათლების თანამედროვე მოთხოვნებსა და ტურიზმის ინდუსტრიის ცვალებად საჭიროებებს.

პროგრამების მიზნები განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების იმ კომპლექსურ ერთობლიობას, რომელსაც კურსდამთავრებულები სწავლის დასრულების შემდეგ უნდა ფლობდნენ. პროგრამების მიზნები ასახავს ტურიზმის განვითარების, მდგრადობის, ციფრული ტრანსფორმაციის, დანიშნულების ადგილის მართვის, მეწარმეობისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის თანამედროვე ტენდენციების სათანადო გააზრებას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების აქტუალურობასა და პრაქტიკულ რელევანტურობას.

კლასტერის დამატებით ძლიერ მხარეს წარმოადგენს პროგრამების მიზნების თანხვედრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ მიზნებსა და განვითარების გეგმებთან.

კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული და მკაფიოდ არის დიფერენცირებული უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით. ერთი საფეხურიდან მომდევნო საფეხურზე გადასვლა არის თანმიმდევრული, აკადემიურად დასაბუთებული და სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, ვერტიკალურად ინტეგრირებული სასწავლო გზის ფარგლებში, ეტაპობრივად გაიღრმავონ ცოდნა და განვითარდნენ შესაბამისი კომპეტენციები. კლასტერის სტრუქტურა ნათლად ასახავს ტურიზმის დარგის თავისებურებებს და უზრუნველყოფს როგორც აკადემიური, ისე პროფესიული განვითარების უწყვეტობას.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი წარმოადგენს ყოვლისმომცველ, სტრატეგიულად თანმიმდევრულ და აკადემიურად გამართულ საგანმანათლებლო შეთავაზებას. იგი გამოირჩევა დარგობრივი აქტუალობის მაღალი ხარისხით, ეფექტიანად პასუხობს საზოგადოების და შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხასიათდება შიდა სტრუქტურული თანმიმდევრულობით, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიურ პროგრესიას და უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს გრძელვადიან განვითარებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 2 - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა
- დანართი 2 - ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- დანართი 1 - უნივერსიტეტის მისია;
- დანართი 3 – პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- დანართი 4 - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების და გაუმჯობესების მეთოდოლოგია;
- დანართი 8 - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი;
- დანართი 13 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://zssu.ge/zssu2/node/3687>;
- ინტერვიუები მენეჯმენტთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევ(ები):</u>
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 1 (ტურიზმი,	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

ბაკალავრიატი)		
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება ⁵

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი <u>1.1 - პროგრამის მიზნები</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით-კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის

მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

ტურიზმის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“, აგრეთვე უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად.

პროგრამების მიზნების შესაბამისად განსაზღვრულია კომპეტენციების მკაფიო სისტემა, რომელიც ასახავს იმ აუცილებელ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და პროფესიულ კომპეტენციებს, რომლებიც სტუდენტებმა სწავლის პროცესში უნდა შეიძინონ. პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული თანამედროვე ეროვნული და რეგიონული სტრატეგიული დოკუმენტები, შრომის ბაზრის ანალიზები, აგრეთვე ისტორიულ-კულტურული ტურიზმის საბაზრო პოტენციალის შეფასებები, რაც უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას დარგის თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებთან.

პროგრამების სტრუქტურა და დიზაინი წარმოადგენს პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრულ და ურთიერთდაკავშირებულ ერთობლიობას, რომლის ლოგიკური ორგანიზება, შინაარსი და თანამიმდევრობა ეფექტიანად უწყობს ხელს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და მიზნების მიღწევას. აღნიშნული ინტეგრირებული მიდგომა არსებითად უწყობს ხელს კურსდამთავრებულთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებას და ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

კლასტერში შემავალი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მომზადებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დამოუკიდებელი მატრიცა, რომელიც ადასტურებს, რომ პროგრამების მიზნები სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და სათანადოდ არის მათში ასახული.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაციემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 2. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- დანართი 2. ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- დანართი 4. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დანართი 5. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- დანართი 8. შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი
- დანართი 13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
<https://zssu.ge/zssu2/node/3687>;
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევ(ები):</u>
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები კლასტერული	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი <u>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში გაერთიანებული სამივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველი მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ინტეგრირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. შეფასების პროცესი აერთიანებს შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის შეფასების დაბალანსებულ და მრავალგანზომილებიან მიდგომას.

პირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს გამოცდებს, პროექტებს, პრეზენტაციებს, შემთხვევების (ქეისების) ანალიზს, პრაქტიკას, პრაქტიკულ დავალებებსა და ნაშრომების შეფასებას, ხოლო არაპირდაპირი შეფასების მეთოდები ეფუძნება სტუდენტთა გამოკითხვებს, კურსდამთავრებულთა უკუკავშირს, დამსაქმებელთა შეფასებებსა და შრომის ბაზრის ანალიზს.

აღნიშნული მეთოდების ერთობლიობა პროგრამებს საშუალებას აძლევს, სტუდენტთა მიღწევების, პროგრამების ეფექტიანობისა და პროფესიულ საქმიანობაში შეძენილი კომპეტენციების რელევანტურობის შესახებ მოიპოვონ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მტკიცებულებები. პროგრამებისთვის ასევე განსაზღვრულია თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისი სამიზნე ნიშნულები და მიღწევის ინდიკატორები, რაც ხარისხის მონიტორინგის სტრუქტურირებულ და გაზომვად მიდგომაზე მიუთითებს.

შესაბამისი ინდიკატორები თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალკეა განსაზღვრული მისი შინაარსის, საფეხურისა და დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული ინდიკატორები აფასებს სტუდენტების მიერ შეძენილ ცოდნასა და გაცნობიერებას, პრაქტიკულ და ანალიტიკურ უნარებს, აგრეთვე სასწავლო პროცესის განმავლობაში განვითარებული პასუხისმგებლობის, ავტონომიურობისა და პროფესიული მზაობის ხარისხს. კლასტერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასების პროცესთან დაკავშირებული პასუხისმგებლობებისა და ვადების მკაფიოდ განსაზღვრული სისტემა.

განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, შეფასების განხორციელების პროცედურები და შეფასების პერიოდულობა, რაც ხელს უწყობს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და მდგრადობას. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების ეფექტიანობის რეგულარულ მონიტორინგს და ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამების განვითარებისა და უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

დაწესებულება მკაფიოდ მზაობას ავლენს შეფასების შედეგები გამოიყენოს არა მხოლოდ ფორმალური ანგარიშგების ინსტრუმენტად, არამედ სასწავლო გეგმის

ხარისხის გაუმჯობესების, პროგრამის შინაარსის განახლების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების დახვეწისა და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების მნიშვნელოვან მექანიზმად. ეს მიუთითებს, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ფუნქციონირებადი კულტურა, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტზე, აკადემიურ რელევანტურობასა და შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების მიმართ სათანადო რეაგირებაზე.

საერთო ჯამში, კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არის კარგად სტრუქტურირებული, თანმიმდევრული და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი. აღნიშნული სისტემა ეფექტიანად უწყობს ხელს როგორც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ისე მათ უწყვეტ გაუმჯობესებას და, ამავდროულად, ხელს უწყობს ტურიზმის მენეჯმენტის სფეროსთვის კონკურენტუნარიანი, კომპეტენტური და პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 5
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- საერთაშორისო ბენჩმარკინგის/ანალოგების შედარებითი ანალიზი;
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევ(ები):</u>
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები კლასტერული	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი <u>1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (ტურიზმის მენეჯმენტის კვლევითი სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად კომპონენტის განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის,

შეცვლის, სამეცნიეროკვლევის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;

- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტიტუციური მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის მიხედვით. პროგრამების შინაარსი, მოცულობა და სირთულის დონე შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურებს და უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სასწავლო კომპონენტები დალაგებულია პროგრესული პრინციპით, რაც უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების ეტაპობრივ განვითარებას. პროგრამები ასევე ცხადად ასახავს აკადემიურ პროგრესიას უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ განვითარებას საბაკალავრო, სამაგისტრო და კვლევითი სამაგისტრო საფეხურების ფარგლებში. ყოველ მომდევნო კურსზე დაშვების წინაპირობები ზოგადად ადეკვატურია. პროგრამების

შინაარსი უზრუნველყოფს მათ ინდივიდუალობას და ასახავს ტურიზმის სფეროსთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა შემუშავებულია ისე, რომ უზრუნველყოს ტურიზმის ინდუსტრიისთვის რელევანტური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ინტეგრირება. თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამებისა და მათში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, ზოგადად, ერთმანეთთან თანხვედრაშია. პროგრამები ითვალისწინებს ტურიზმის სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს და მოიცავს ციფრული კომპეტენციების, კომუნიკაციის უნარებისა და უცხო ენის სწავლების კომპონენტებს, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების ზრდას.

პროგრამები ვითარდება თანამშრომლობითი პროცესის საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. მათი მონაწილეობა სისტემურად აისახება პროგრამების შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებში. პროგრამები რეგულარულად ახლდება ტურიზმის სფეროში მიმდინარე თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს პროგრამების შინაარსისა და სტრუქტურის უწყვეტ მონიტორინგსა და გაუმჯობესებას.

ზოგადად, თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კლასტერში შემავალი პროგრამები შეესაბამება უნივერსიტეტის ინსტიტუციურ მეთოდოლოგიასა და ეროვნულ სტანდარტებს, გამოირჩევა სტრუქტურული თანმიმდევრულობით და უზრუნველყოფს პროგრამების შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების ერთმანეთთან თანხვედრას.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 185 ECTS კრედიტს და აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს. პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (130 ECTS კრედიტი), რომლებიც მოიცავს ტურიზმის დარგის ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (15 ECTS კრედიტი), რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, გაიღრმავონ ცოდნა ტურიზმის ცალკეულ მიმართულებებში; თავისუფალი კომპონენტი (40 ECTS კრედიტი), რომელიც მოიცავს 35 ECTS კრედიტის სავალდებულო თავისუფალ სასწავლო კურსებს და 5 ECTS კრედიტის თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსებს. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს სტუდენტებში წერიითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარების განვითარებას, აგრეთვე ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების მიზნით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის ჩამოყალიბებას. პროგრამა ასევე მოიცავს 20 ECTS კრედიტის მოცულობის უცხო ენის კომპონენტს, რომელიც შედგება ზოგადი ინგლისური ენისა და პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებისგან, რითაც ძლიერდება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. პროგრამაზე მიღება არ არის შეზღუდული მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის,

რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უცხო ენად ინგლისური ენა ჩააბარეს. ჩარიცხვის შემდეგ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების გადанаწილებას სასწავლო ჯგუფებში მათი უცხო ენის ცოდნის დონის შესაბამისად. სასწავლო პროცესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, დისკუსიებსა და სხვა აკადემიურ ღონისძიებებში.

უნივერსიტეტში ჩარიცხვისას სტუდენტები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას საბაკალავრო პროგრამის, აგრეთვე მის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ.

ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს და აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სავალდებულო სასწავლო კურსები (დაახლოებით 56 ECTS კრედიტი), რომლებიც უზრუნველყოფს ტურიზმის მენეჯმენტის სფეროში სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას; საწარმოო პრაქტიკა (5 ECTS კრედიტი), რომელიც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის გამოყენებას რეალურ სამუშაო გარემოში; კვლევითი პროექტი (8 ECTS კრედიტი), რომელიც მიზნად ისახავს ანალიტიკური და კვლევითი უნარების განვითარებას; არჩევითი სასწავლო კურსები (4 ECTS კრედიტი), რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, დაეუფლონ ტურიზმის კონკრეტულ მიმართულებებს. სწავლების პროცესი ორიენტირებულია იმ კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს კრიზისულ სიტუაციებში დამოუკიდებლად მართონ კომპლექსური პროცესები და მიიღონ გადაწყვეტილებები. პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად გაიღრმავონ ცოდნა ტურიზმის კონკრეტულ სფეროებში და შემდგომ განავითარონ საკუთარი პროფესიული პროფილი. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა პრაქტიკულ მომზადებას, რომელიც ხორციელდება ტურიზმის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში. აღნიშნული კომპონენტი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, თეორიული ცოდნა გამოიყენონ რეალურ სამუშაო გარემოში, პრაქტიკაში გამოსცადონ საკუთარი პროფესიული კომპეტენციები და დაამყარონ უშუალო კავშირი პოტენციურ დამსაქმებლებთან.

პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თეორიული, პრაქტიკული და გამოყენებითი კომპონენტების ინტეგრაციას და ხელს უწყობს ტურიზმის სფეროში მენეჯერული კომპეტენციების განვითარებას.

ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 85 ECTS კრედიტს და აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სავალდებულო სასწავლო კურსები (55 ECTS კრედიტი), რომლებიც უზრუნველყოფს ტურიზმის კვლევის სფეროში სიღრმისეული თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის მიღებას; კვლევითი პრაქტიკა (5 ECTS კრედიტი), რომელიც მიზნად ისახავს პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარებას; არჩევითი სასწავლო კურსები (5 ECTS კრედიტი), რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, დაეუფლონ კვლევის კონკრეტულ მიმართულებებს; სამაგისტრო ნაშრომი (20 ECTS კრედიტი), რომელიც წარმოადგენს პროგრამის დასკვნით კვლევით კომპონენტს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ

საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 - ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული და შინაარსის ერთდროული განვითარება უზრუნველყოფილია, თუმცა პროგრამის სასწავლო გეგმა ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს, რადგან მომდევნო კომპონენტებზე მიღების წინაპირობები ზოგიერთი ძირითადი კურსის დამატებით შესწავლას მოითხოვს, კერძოდ:

“ტურიზმში ინფორმაციული ტექნოლოგიების” (Information Technologies in Tourism) სწავლის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ მისი შინაარსი მჭიდრო კავშირშია “ტურიზმის შესავალში” (Introduction to Tourism) შესწავლილ დარგობრივ კონცეფციებთან და კონტექსტებთან. კურსის სწავლის შედეგები, მათ შორის ტურიზმსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს შორის ურთიერთკავშირის აღწერის უნარი, ტურიზმის ციფრული გარემოს სტრუქტურული ელემენტების დახასიათება, ტურიზმის შუამავლების (tourism intermediaries) როლის ახსნა, ტურიზმის სხვადასხვა სექტორში ინფორმაციულ სისტემებს შორის განსხვავების დადგენა, მოითხოვს “ტურიზმის შესავალში” შეძენილ ტურიზმის დარგის წინასწარ ცოდნას და გაგებას. იმისათვის, რომ სტუდენტებმა ადეკვატურად აღიქვან და წარმატებით დაასრულონ კურსი, მათ დასრულებული უნდა ჰქონდეთ “ტურიზმის შესავალი”. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ “ტურიზმის შესავალი” გახდეს “ტურიზმში ინფორმაციული ტექნოლოგიების” კურსის წინაპირობა და გადაინაცვლოს მე-2 ან მე-3 სემესტრში. ასეთი თანმიმდევრობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამის დონეზე მიღწევას.

კურსის „საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“ სწავლის შედეგები და შინაარსი აჩვენებს, რომ ტურიზმისა და რეკრეაციული რესურსების, მდგრადი ტურიზმის პრინციპების, რეგიონული ტურიზმის პოტენციალისა და ტურისტული პროდუქტის დაგეგმვის ეფექტური გააზრება სტუდენტებისგან ტურიზმის სფეროს ფუნდამენტური კონცეფციებისა და თეორიული საფუძვლების წინასწარ ცოდნას მოითხოვს. ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ „ტურიზმის შესავალი“ განისაზღვროს, როგორც კურსის წინაპირობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების შესაბამის დონეზე მიღწევა.

კურსის “საექსკურსიო საქმე და გიდის ხელოვნება” სწავლის შედეგები და შინაარსი აჩვენებს, რომ ტურების დაგეგმვისა და განხორციელების პრინციპების, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდების, კრიზისების მართვისა და ტურიზმის პროცესების

ანალიზის ეფექტური გააზრება სტუდენტებისგან ტურიზმის სფეროს ფუნდამენტური კონცეფციებისა და თეორიული საფუძვლების წინასწარ ცოდნის მოითხოვს, ასევე სივრცით და რესურსებთან დაკავშირებულ ძირითად კომპეტენციებს. ამიტომ, მიზანშეწონილია, „ტურიზმის შესავალი“, „ტურიზმის გეოგრაფია“ და „საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“ განისაზღვროს, როგორც კურსის „საექსკურსიო საქმე და გიდის ხელოვნება“ წინაპირობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების შესაბამის დონეზე მიღწევა.

პროგრამა 3 - კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში

პროგრამა 3 კურსი „კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში“ ნაწილობრივ თანმიმდევრული და ლოგიკურად ორგანიზებულია. იგი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრულ ინტეგრაციას. მისანიჭებელი კვალიფიკაციის უნიკალურობის უკეთ ხაზგასასმელად და პროგრამის კვლევითი ორიენტაციის გასაძლიერებლად მიზანშეწონილია რამდენიმე საბაზისო კურსის გადახედვა და განახლება. პროგრამის სასწავლო გეგმაში სასურველია შემდეგი ცვლილებების შეტანა: სასწავლო კურსი „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და აკადემიური კომუნიკაცია“, ტურიზმის სოციოლოგია და ანთროპოლოგიური კვლევა უნდა შეიცვალოს ტურიზმში თვისებრივი კვლევის მეთოდებით და ტურიზმში რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით. ეს ცვლილებები გააძლიერებს სტუდენტების კვლევით კომპეტენციებს; გონივრული იქნებოდა სასწავლო კურსის „გლობალური ტურიზმის პოლიტიკა და სტრატეგიული დიაგნოსტიკა“ განახლება და რეფორმულირება, როგორც „ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები; ინოვაციური მენეჯმენტი“, რათა სასწავლო პროგრამა შეესაბამებოდეს ტურიზმის კონტექსტს. ეს განაპირობებს კურსის უფრო ზუსტ სახელწოდებას, როგორიცაა „ინოვაციების მენეჯმენტი ტურიზმში; „რისკის თეორია და მდგრადობის კვლევები“ ჩანაცვლდეს სახელწოდებით „რისკების მენეჯმენტი და მდგრადობა ტურიზმში“; გონივრული იქნება მკაფიოდ განისაზღვროს შემდგომ კომპონენტებზე გადასვლის წინაპირობები: კურსები „სამეცნიერო კვლევის დიზაინი და აკადემიური კომუნიკაცია“ და „თვისებრივი კვლევის მეთოდები ტურიზმში“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ტურიზმში“ უნდა განისაზღვროს, როგორც კვლევითი პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობები; პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა თითოეულ ინდივიდუალურ კურსთან უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების სრულად მიღწევა, მათი თანმიმდევრული განვითარება და კურსების არსებით მიზნებთან შესაბამისობა; გონივრულია, რომ კურსი „ეთიკა, ფილოსოფია და ადამიანის უფლებები ტურიზმში“ შეიცვალოს ან ჩანაცვლდეს ახალი კურსით (მაგ., „ტურიზმის ეთიკა და ფილოსოფია“).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

- საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სასწავლო გეგმებით;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- დაინტერესებული მხარეების პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://zssu.ge/zssu2/node/3687>
- დანართი 4
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u> ☐	<u>რჩევები:</u>
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	არ არის	არ არის
პროგრამა 1 (ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	რეკომენდებულია, სასწავლო კურსისთვის - „ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიები“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ტურიზმის შესავალი“, ხოლო თავად კურსი გადატანილ იქნას მეორე ან მესამე სემესტრში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების შესაბამის დონეზე მიღწევა. რეკომენდებულია, სასწავლო კურსისთვის „საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ტურიზმის შესავალი“, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ტურიზმის ძირითადი ცნებებისა და თეორიების	არ არის

	აუცილებელი საბაზისო ცოდნა. რეკომენდებულია, სასწავლო კურსისთვის „საექსკურსიო საქმე და გიდის ხელოვნება“ წინაპირობებად განისაზღვროს სასწავლო კურსები „ტურიზმის შესავალი“, „ტურიზმის გეოგრაფია“ და „საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“, რათა ხელი შეეწყოს კურსის სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.	
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა - პირველი ნაწილი)	არ არის	არ არის
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა - მეორე ნაწილი)	რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია“ და „აკადემიური კომუნიკაცია“ და „ტურიზმის სოციოლოგია და ანთროპოლოგიური კვლევა“ ჩანაცვლდეს სასწავლო კურსებით „ტურიზმის თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „ტურიზმის რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს სტუდენტთა კვლევითი კომპეტენციების გაძლიერებას და პროგრამაში მეთოდოლოგიური	არ არის

	მომზადების გაუმჯობესებას. რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსი „გლობალური ტურიზმის პოლიტიკა და სტრატეგიული დიაგნოსტიკა“ და მისი სახელწოდება ჩამოყალიბდეს როგორც „ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“, რათა უკეთ შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსი „ინოვაციური მენეჯმენტი“, რათა მისი სილაბუსი მეტად შეესაბამებოდეს ტურიზმის სფეროს სპეციფიკას, რის შედეგადაც კურსი ჩამოყალიბდეს უფრო ზუსტი სახელწოდებით - „ინოვაციების მართვა ტურიზმში“. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „რისკის თეორია და მედეგობის კვლევები“ ჩანაცვლდეს კურსით „რისკების მართვა და მედეგობა ტურიზმში“, რათა გაძლიერდეს მისი პრაქტიკული და დარგობრივი ორიენტაცია.	
--	---	--

	რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „სამეცნიერო კვლევის დიზაინი და აკადემიური კომუნიკაცია“, „ტურიზმის თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „ტურიზმის რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ განისაზღვროს წინაპირობებად „კვლევითი პრაქტიკისა“ და „სამაგისტრო ნაშრომის“ კომპონენტებისთვის. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგებისა და ცალკეული სასწავლო კურსების შესაბამისობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა, მათი თანმიმდევრული განვითარება და კურსების შინაარსობრივ მიზნებთან შესაბამისობა. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ეთიკა, ფილოსოფია და ადამიანის უფლებები ტურიზმში“ გადაიხედოს, შესწორდეს ან ჩანაცვლდეს უფრო დარგობრივი კურსით, მაგალითად, „ტურიზმის ეთიკა და ფილოსოფია“.	
--	--	--

	პროგრამის მიზნებთან მისი შესაბამისობის გადლიერების მიზნით.	
--	--	--

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის

მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, დასტურდება, რომ კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში, „ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში“, „ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში“ და პროგრამაში „კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში“ შემავალი აკადემიური კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება მის დაგეგმილ სწავლის შედეგებს, ხოლო კრედიტების განაწილება, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, შეესაბამება კურსის შინაარსს, სირთულეს და სტუდენტის მოსალოდნელ დატვირთვას.

საგანმანათლებლო კურსები ორგანიზებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად. წინაპირობები განსაზღვრულია ცოდნისა და კომპეტენციების თანდათანობითი განვითარების ხელშესაწყობად. ცალკეული კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამისი უმაღლესი განათლების დონის აღწერილობებს, საგნის სამიზნე ნიშნულებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის წვლილი პროგრამის სწავლის შედეგებში სასწავლო გეგმის რუკების შედგენით განისაზღვრება. ყველა კურსის სწავლის შედეგი ფორმულირებულია ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით და იზომება სასწავლო გეგმებში განსაზღვრული შეფასების მეთოდებით.

საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ზოგადად ადეკვატურია და ითვალისწინებს ცალკეული კურსების სპეციფიკურ მახასიათებლებს. კურსის სწავლის შედეგები ფორმულირებულია ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით და გაზომვადია სასწავლო გეგმაში განსაზღვრული შეფასების მეთოდებით. თითოეული კურსის სასწავლო გეგმა მოიცავს სავალდებულო და დამატებით სასწავლო რესურსებს და განსაზღვრავს კურსის მეშვეობით მისაღწევ სწავლის შედეგებს.

სასწავლო გეგმის რუკების, პროგრამის სტრუქტურისა და კურსის წინაპირობების შემუშავება პროგრამის სწავლის შედეგებსა და კურსის სწავლის შედეგებს შორის იდენტიფიცირებულ კავშირს ეფუძნება. კურსების შემუშავებისა და გადახედვის დროს პროგრამის კოორდინატორებმა, პროგრამის შემუშავების ჯგუფებმა და სასწავლო პროგრამის ავტორებმა გაითვალისწინეს ლოგიკური კავშირები ცალკეულ კურსებსა და პროგრამის კომპონენტებს შორის.

სალაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები და სასწავლო რესურსები ზოგადად ხელს უწყობს კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტი ბიბლიოთეკის ფონდისა და სასწავლო მასალების განახლებისთვის გამოყოფს რესურსებს. სასწავლო პროგრამები მოიცავს როგორც ძირითად, ასევე დამატებით ლიტერატურას, რაც ხელს უწყობს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზოგადად, კლასტერში შემავალი პროგრამები აჩვენებს თანმიმდევრულობას კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს, კრედიტების განაწილებას, შეფასების მეთოდებსა და სასწავლო რესურსებს შორის, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა 1-ის - ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის - სასწავლო გეგმების ანალიზმა აჩვენა, რომ გარკვეული კურსები და საგნობრივი კომპონენტები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს შინაარსისა და თემატური დაფარვის თვალსაზრისით. „კულტურული მემკვიდრეობისა“ და „მსოფლიო ისტორია და კულტურული ტურიზმის“ სასწავლო გეგმები მნიშვნელოვან თემატურ დუბლირებას ავლენს. ორივე კურსი მსგავსად მოიცავს იუნესკოს კულტურულ მემკვიდრეობას, საქართველოს ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, კულტურულ მარშრუტებს და მასთან დაკავშირებულ თემებს. ეს თემები მეორდება როგორც კონცეპტუალურ, ასევე სემინარულ დონეზე, რაც შინაარსის დუბლირების მაღალ ხარისხს აპირობებს. ორივე კურსი იყენებს ერთსა და იმავე თემატურ მასალას, თუმცა სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილს. შედეგად, სტუდენტებს ორივე კურსში იდენტური თემები ხვდებათ, რაც ამცირებს სწავლების ეფექტურობას და იწვევს შინაარსის გადატვირთვას. გონივრული იქნება სასწავლო გეგმების მოდიფიცირება და მათი გაერთიანება ერთი სათაურის, „კულტურული ტურიზმის“ ქვეშ. ასეთი კონსოლიდაცია შეამცირებს თემატურ დუბლირებას, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში უფრო ლოგიკურ თანმიმდევრობას და გააძლიერებს კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლების მიწოდებას.

პროგრამა ასევე მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს. იგი წარმოადგენს წერილობით, შემოქმედებით სამუშაო პროექტს, რომელიც ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფის (1-2-3 სტუდენტი) მიერ არის შესრულებული. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომი ინდივიდუალურად შესრულდეს, რადგან ეს ფორმატი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის ცოდნისა და კომპეტენციების უფრო ზუსტ და ობიექტურ შეფასებას. ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში, ხშირად რთულია თითოეული მონაწილის რეალური წვლილის მკაფიოდ განსაზღვრა, რამაც შეფასების სამართლიანობაზე შეიძლება მოახდინოს გავლენა. ინდივიდუალური პროექტი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს სრულად აჩვენონ თავიანთი კვლევითი, ანალიტიკური და აკადემიური წერის უნარები, ასევე კვლევითი პროცესის ყველა ეტაპზე აიღონ სრული პასუხისმგებლობა. ეს მიდგომა ამცირებს სამუშაოს არათანაბარი განაწილების და პოტენციური აკადემიური შეუსაბამობის რისკს, რაც ხშირია ჯგუფურ პროექტებში.

პროგრამაში მითითებული ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები ზოგადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მაგრამ სფეროში არსებულ განვითარებას და ბოლოდროინდელ მიღწევებს ნაწილობრივ ასახავს. გონივრული იქნება, რომ ლიტერატურა და სასწავლო რესურსები განახლდეს და შეიცოს უფრო ახალი აკადემიური პუბლიკაციებით და თანამედროვე კვლევებით, რათა უკეთ აისახოს ტურიზმის სფეროში მიმდინარე განვითარება და მიღწევები. გონივრული იქნება, რომ ლიტერატურა შემდეგ კურსებში განახლდეს: „ტურიზმის შესავალი“ (მაგ. დ. მაისურაძე, თ. ხუციშვილი, გ. ხომერიკი, ი. ვერბეცკი – 2011); „კულტურული მემკვიდრეობა და მსოფლიო ისტორია“ (მაგ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა. დამატებითი სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის საქართველოში; თბილისი, 2014; „დასავლური ცივილიზაცია“; ევროპაში იმპერიისთვის ბრძოლა თანამედროვე მსოფლიოში. ჰარპერის მემკვიდრეობის სახელმძღვანელო. რედაქტორი: უილიამ ლანგერი, ნიუ-იორკი, ლონდონი, 1954; „ტურიზმის ეკონომიკა“ (მაგ. დოლიკაშვილი ლ., ღვინჯილია მ., ჯაშიაშვილი ნ. „ტურიზმისა და სასტუმროების ეკონომიკა“ (სახელმძღვანელო), თბილისი, 2013; მეტრეველი მ. „ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა“, თბილისი, 2011; „საქართველოს რეკრეაციული რესურსები“ (მაგ. მეტრეველი, მ. (2012). ტურიზმი: თეორია და პრაქტიკა. თბილისი); „კულტურული ტურიზმი“ (მაგ. კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი, 2009); „ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი“ (მაგ. კლეიტონ ვ. ბეროუსი, ტომ პაუერსი, დენის რეინოლდსი. “შესავალი სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის მენეჯმენტში“. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2012; გიორგი შუბლაძე, ლ. დოლიკაშვილი. ტურიზმის მენეჯმენტი. თბილისი, 2015); „ინგლისური ენა ტურიზმისთვის“ (მაგ. ტურიზმი 2, ოქსფორდის ინგლისური კარიერის ტექნისთვის, რობინ უოკერი და კიტ ჰარდინგი, სტუდენტების წიგნი, ოქსფორდი 2012; პიტერ სტრატი, „ინგლისური საერთაშორისო ტურიზმისთვის“, Pearson, 2013; როდონ ვაიატი, „შეამოწმეთ თქვენი ინგლისური ლექსიკა დასვენების, მოგზაურობისა და ტურიზმისთვის“, მეორე გამოცემა, A&C Black – ლონდონი, 2007; „საექსკურსიო საქმე და გიდის ხელოვნება“ (მაგ. გიდის პროფესია (პრაქტიკული სახელმძღვანელო). აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2017); „ტურისტული მიმართულებების მართვა“ (უკლება მ. ტურისტული მიმართულებების მართვა (სახელმძღვანელო). თბილისი, 2017.

პროგრამა 2 - ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სასწავლო გეგმებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები ზოგადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სფეროში არსებულ განვითარებას და ბოლოდროინდელ მიღწევებს ნაწილობრივ ასახავს. ქვემოთჩამოთვლილი კურსების ლიტერატურის განახლება მიზანშეწონილია.

„ტურიზმის სტრატეგიული მენეჯმენტი“: არტურ ა. ტომპსონ უმცროსი, ა. ჯ. სტრიკლენდი III, *სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და შემთხვევები*, მე-13 გამოცემა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, საქართველო, 2010.

„მენეჯერული ეკონომიკა და კორპორატიული ფინანსები“: ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჩოვიჩ უმცროსი, *ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები*, მე-12 გამოცემა, „საქართველოს მაცნე“, 2008.

„ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია და ლიდერობის უნარები“: პიტერ გ. ნორტჰაუსი, *ლიდერობა: თეორია და პრაქტიკა*, 2010.

„ბიზნესეთიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა“: ლ. ხოფერია, *კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო*, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2012.

პროგრამა 3 - კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში

ძირითადი სასწავლო სფეროს ფარგლებში, მე-3 პროგრამის „კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში“ აკადემიური კურსების სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული კურსების შინაარსი დასახულ სწავლის შედეგებს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პროგრამის ფარგლებში კომპეტენციების თანხვედრისა და თანმიმდევრულ განვითარებაზე. კრედიტების, საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლების საათების განაწილება კურსის შინაარსთან, სამუშაო დატვირთვასთან და მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის უნდა გადაიხედოს. ასევე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ თითოეული კურსის თითოეული სწავლის შედეგი ადეკვატურად შეფასდეს შესაბამისი შეფასების მეთოდებისა და შეფასების კომპონენტების მეშვეობით.

სასწავლო გეგმებში არსებული ძირითადი ლიტერატურა თანამედროვე აკადემიური მიდგომებისა და ტურიზმის სფეროში მიმდინარე ტენდენციების ასახვის მიზნით უნდა გადაიხედოს, განახლდეს და გამრავალფეროვნდეს, რაც უზრუნველყოფს როგორც კურსის, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები
- სასწავლო გეგმები; სასწავლო გეგმის რუკა
- კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები

- სასწავლო მასალები/რესურსები
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაციები:	რჩევები:
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	არ არის	არ არის
პროგრამა 1 (ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების - „კულტურული მემკვიდრეობა და მსოფლიო ისტორია“ და „კულტურული ტურიზმი“ სილაბუსები და ისინი გაერთიანდეს ერთი სახელწოდების - „კულტურული ტურიზმის“ ქვეშ. ასეთი ინტეგრაცია ხელს შეუწყობს შინაარსობრივი დუბლირების თავიდან აცილებას, თემების ლოგიკური თანმიმდევრობის გაუმჯობესებას, მასალების განმეორებასთან დაკავშირებული სტუდენტური დატვირთვის შემცირებას და კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების უფრო ეფექტიან განხორციელებას. რეკომენდებულია,	არ არის

	საბაკალავრო ნაშრომი შესრულდეს ინდივიდუალურად, რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სტუდენტის ცოდნის, კომპეტენციებისა და აკადემიური მიღწევების უფრო ზუსტი და ობიექტური შეფასება. რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების ლიტერატურა: „ტურიზმის შესავალი“, „კულტურული მემკვიდრეობა და მსოფლიო ისტორია“, „ტურიზმის ეკონომიკა“, „საქართველოს რეკრეაციული რესურსები“, „კულტურული ტურიზმი“, „ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის მენეჯმენტი“, „ინგლისური ენა ტურიზმისთვის“, „საეკურსიო საქმე და გიდობის ხელოვნება“, „ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვა“.	
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა - პირველი ნაწილი)	რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა: „ტურიზმის სტრატეგიული მენეჯმენტი“; „მენეჯერული ეკონომიკა და კორპორაციული ფინანსები“; ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია და ლიდერობის უნარები; ბიზნესეთიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.	არ არის

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 - სასწავლო კურსი/საგანი	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგია;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასასრულებლად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირების ჩართვას. პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე მიღების წინაპირობები პროგრამის შედეგებთან, განათლების შინაარსთან, დონესთან, კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან ლოგიკურად არის დაკავშირებული.

უნივერსიტეტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას. იგი ითვალისწინებს დასაქმების, ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და

ადამიანური რესურსების, პრაქტიკის ობიექტისა და ფინანსური რესურსების მონაცემებს, რის საფუძველზეც განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა. პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხორციელდება სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამების აკრედიტაციის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდება. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე მიღების წინაპირობების სამართლიანობა, საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, ისევე როგორც სხვა პროგრამების შემთხვევაში.

ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა ჩააბაროს უცხო ენის (ინგლისური) ცოდნის დამადასტურებელი ტესტი B2 დონეზე. ტესტირებისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც აქვს ენის ცოდნის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (გაცემული საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ); ან დაასრულა პირველი დონის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა უცხო ენაზე (ინგლისურ ენაზე); ან ფლობს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების შესწავლის ცენტრის მიერ გაცემულ B2 (ან უფრო მაღალი) დონის სერტიფიკატს.

ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო მაგისტრატურის გამოცდის გარეშე სტუდენტები მიიღებიან/ჩაირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის გზით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, განათლების მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ ვადებში, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სავალდებულო პროცედურებისა და წესების დაცვით.

პროგრამაზე „კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში“ ჩარიცხვის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების ან მასთან დაკავშირებული სფეროების მაგისტრის ხარისხი.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

კანდიდატმა წარმატებით უნდა გაიაროს უნივერსიტეტის შიდა გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან, რომლის დროსაც შეფასდება კანდიდატის აკადემიური მზაობა, კვლევითი ინტერესები და მოტივაცია.

პროგრამაზე „კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში“ ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა

დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. პირი თავისუფლდება ტესტირებისგან, თუ მას აქვს საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს ენის შესაბამის დონეზე ცოდნას.

ვინაიდან კანდიდატმა უკვე მიიღო მაგისტრის ხარისხი, მისი ხელახალი ჩარიცხვა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა დებულებების შესაბამისად (კრედიტების აღიარების ან დამატებითი სემესტრის პრინციპის შესაბამისად).

მობილობა: მობილობის წესით პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ ვადებში და დადგენილი წესების დაცვით.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

კლასტერული აკრედიტაციის მიზნით შეფასებისთვის წარდგენილ პროგრამაზე აპლიკანტების ჩარიცხვის შემდეგი პირობებია:

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი/ატესტატი ან მისი ეკვივალენტური დოკუმენტი. პროგრამაზე სხვა პროცედურით (ერთიანი ეროვნული გამოცდების/მობილობის გარეშე) ჩარიცხვა რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამის წინაპირობები არ ასახავს ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მესამე საგანის სახით ჩასაბარებელ საგანს/საგნებს, რომელიც განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის N92 - N ბრძანებით (მათემატიკა/ისტორია/გეოგრაფია).

ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები (საუნივერსიტეტო სპეციალიზაციის გამოცდა და ტესტირება ინგლისურ ენაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o თვითშეფასების ანგარიში

o პროგრამები

o შოთა მესხიასზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

o უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://zssu.ge/>

o ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევები:</u>
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	არ არის	არ არის
პროგრამა 1 (ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	არ არის	სასურველია, საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიეთითოს ერთიანი ეროვნული გამოცდის შესაბამისი საგანი (საგნები), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №92/ნ ბრძანების შესაბამისად.
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	არ არის	არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი <u>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

შეფასებისთვის წარდგენილი “ტურიზმის კლასტერის” პროგრამები, სწავლის შედეგებისა და დონის შესაბამისად, სტუდენტებს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებასა და კვლევით პროექტებში ჩართულობას უზრუნველყოფს. პროგრამების თავისუფალი კომპონენტები უნივერსალური უნარების განვითარებასა და სრულყოფაზეა ორიენტირებული.

გარდა ამისა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს ისეთ კურსებს, როგორიცაა აკადემიური წერა (5 ECTS კრედიტი), საბაკალავრო პროექტი (5 ECTS კრედიტი) და პრაქტიკა (5 ECTS კრედიტი). ტურიზმის დარგისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება ისეთი კურსები, როგორიცაა “გლობალური დაჯავშნის სისტემები (GDS)” (5 ECTS კრედიტი), “მეწარმეობა და ინოვაცია” (5 ECTS კრედიტი), “საექსკურსიო საქმე და გიდის ხელოვნება” (5 ECTS კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ტურიზმის მენეჯმენტის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს ანიჭებს, პრაქტიკული, კვლევითი და უნივერსალური უნარების განვითარების მიზნით სთავაზობს კვლევის მეთოდოლოგიას და მონაცემთა ანალიზს ტურიზმში (5 ECTS კრედიტი), პროფესიულ პრაქტიკაში (მაგისტრი) (5 ECTS კრედიტი), კვლევით პროექტში (8 ECTS კრედიტი).

ტურიზმის მენეჯმენტში კვლევის მაგისტრის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს “სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიას და აკადემიურ კომუნიკაციას” (5 ECTS კრედიტი), “ეკონომეტრიასა და პროგნოზირების მოდელებს ტურიზმში” (5 ECTS კრედიტი), “კვლევით პრაქტიკას” (5 ECTS კრედიტი), სამაგისტრო ნაშრომს (20 ECTS კრედიტი).

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სტაჟირების პროცესი ხორციელდება კონტაქტური (კონსულტაციები სტაჟირების ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელთან, პირდაპირი მუშაობა სტაჟირების დაწესებულების წარმომადგენელ-მენტორთან, მისი მითითებებისა და დაკისრებული დავალებების შესრულება. სტაჟირების ანგარიშის დაცვა და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით. სტუდენტი ჩაერთვება სტაჟირების დაწესებულების პროფესიულ საქმიანობაში, ყოველდღიურად აღწერს შესრულებულ სამუშაოს სტაჟირების დღიურში და სტაჟირების დასრულების შემდეგ წარმოადგენს სტაჟირების ანგარიშს, რომელსაც საჯაროდ წარადგენს/დაიცავს.

სტაჟირების ხანგრძლივობაა 14 კვირა. ფაკულტეტისა და სტაჟირების დაწესებულების ხელმძღვანელობის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე სტუდენტი სემესტრის განმავლობაში კვირაში 2 საათს სტაჟირების დაწესებულებაში გაატარებს, სტაჟირების განმავლობაში კი შეადგენს სტაჟირების დღიურს და სტაჟირების ანგარიშს. სტაჟირების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სტაჟირების ხელმძღვანელს (უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს), სტაჟირების დაწესებულების მიერ დანიშნული სტაჟირების ხელმძღვანელი/მენტორი ზედამხედველობს სტუდენტების ყოველდღიურ მუშაობას, უწევს კონსულტაციებს სტუდენტებს სტაჟირების პროგრამის შესრულებაში, ეხმარება მათ

ინდივიდუალური დავალებების შესრულებასა და საჭირო ინფორმაციისა და მასალების მოპოვებაში. სტაჟირების დასრულების შემდეგ, სტაჟირების დაწესებულების მიერ დანიშნული ხელმძღვანელი/მენტორი, ხელმძღვანელთან თანამშრომლობით, შეადგენს თითოეული სტუდენტის დახასიათებას. სტაჟირების განმავლობაში სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების ჩანაწერები სტაჟირების დღიურში, აღწეროს შესრულებული სამუშაო და სტაჟირების დროს შესწავლილი სიახლეები, აღრიცხოს საჭირო მონაცემები და მიღწეული შედეგები; სტაჟირების დღიურის წარმოება სტუდენტს სტაჟირების ანგარიშის მომზადებაში დაეხმარება. სტაჟირება ფასდება შესაბამის სასწავლო გეგმაში აღწერილი წესებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. სტაჟირების დასრულების შემდეგ, დღიური და ანგარიში სტაჟირების დაწესებულების მიერ დანიშნულ ხელმძღვანელს წარედგინება, ხოლო მის მიერ ხელმოწერის შემდეგ სტუდენტმა იგი სტაჟირების ხელმძღვანელს უნდა გადასცეს; სტაჟირების გავლის შემდეგ სტუდენტს ეძლევა ორი ან სამი დღე ანგარიშის დასასრულებლად. სტაჟირების დასრულების შემდეგ, სტუდენტი ხელმძღვანელის წინაშე იცავს სტაჟირების ანგარიშს. დაწესებულებას წარდგენილი აქვს სტაჟირების ანგარიშები და მონათესავე სპეციალობების სტუდენტების დღიურები.

ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიული სტაჟირება და კვლევითი სტაჟირება მსგავსი პრინციპით ხორციელდება. პროგრამის პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით და შეესაბამება განათლების დონეს. პროგრამების პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები ეხმარება სტუდენტებს გაიმყარონ თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად და დაამყარონ დამსაქმებლებთან პირდაპირი კავშირი.

გარდა ამისა, მაგისტრატურაში სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების შესრულებისას, სტუდენტს ზედამხედველობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის ნაშრომს და სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გადასვლის ნებართვის გაცემის შესახებ წერს დასკვნას.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტმა წარმოადგინა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და სასწავლო გეგმის გარეთ უნივერსალური უნარების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, როგორცაა ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები, უნივერსიტეტის ზაფხულის და ზამთრის სკოლები, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებები, საჯარო ლექციები და ა.შ. ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტაჟირების დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები, რომელთა მიზანია ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტაჟირების კომპონენტის განხორციელება. წარმოდგენილი მემორანდუმები ასახავს სტაჟირებაზე გასაგზავნი სტუდენტების რაოდენობას და ხანგრძლივობას. შესაბამისად, სტაჟირების დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოდგენილია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სტაჟირებასთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც უნივერსიტეტის, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში, მათ შორის საზღვარგარეთ. ისინი მონაწილეობენ ინდივიდუალურად და სამეცნიერო და აკადემიურ პერსონალთან ერთად. თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს. ასევე წარმოდგენილი იყო კონფერენციის მოხსენებები, რომლებიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაბეჭდილი სახით არის განთავსებული.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 კვლევის მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში

ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა შესაბამის სპეციალობებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამაგისტრო ნაშრომები მთლიანობაში შესრულებულია მაგისტრატურის დებულების მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურაში არ არის წარმოდგენილი ინგლისურენოვანი რეზიუმეს მოთხოვნა. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის მოთხოვნებში შევიდეს ინგლისურენოვანი რეზიუმეს მოთხოვნა და ეს აისახოს სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში. ინგლისურენოვანი რეზიუმე ახალგაზრდა მკვლევრების კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციას შეუწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o თვითშეფასების ანგარიში
- o პროგრამები და სასწავლო პროგრამები
- o რეკომენდაციები დამსაქმებლებისაგან და სტაჟირების ადგილებიდან
- o სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები
- o სტაჟირების დღიურები, ანგარიშები, დაცვის ანგარიშები
- o ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევები:</u>
კლასტრის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	არ არის	არ არის
პროგრამა 1 (ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	არ არის	არ არის
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	არ არის	არ არის
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა - მეორე ნაწილი)	რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის შესახებ მოთხოვნებში გათვალისწინებული იყოს ინგლისურენოვანი აბსტრაქტი და შესაბამისი ცვლილება	სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას, სამეცნიერო ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ

	აისახოს სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელ დოკუმენტში. ინგლისურენოვანი აბსტრაქტის არსებობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევართა კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციას.	სამაგისტრო სწავლების მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრული სტრუქტურის დაცვას.
--	--	--

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი <u>2.2. პრაქტიკული,</u> <u>სამეცნიერო /კვლევითი</u> <u>/შემოქმედებითი</u> <u>/საშემსრულებლო და</u> <u>ტრანსფერული უნარების</u> <u>განვითარება</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

პროგრამების თითოეული კურსის/საგნის სწავლების მეთოდები და აქტივობები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგის მახასიათებლების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამა ითვალისწინებს ლექციებს, განმარტებით მეცადინეობებს, დემონსტრირებას, დამოუკიდებელ სამუშაოს, ჯგუფურ მუშაობას, იდეების გენერირებას, დისკუსიას, დებატებს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას. შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლას, მაგალითებზე დისკუსიას, ჯგუფურ სწავლას, როლურ თამაშებს, სახელმძღვანელოებზე მუშაობას და წერილობით დავალებებს, პრეზენტაციას, პორტფოლიოს, პროექტის მომზადებას და/ან პროექტის მეშვეობით სწავლას. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში კონკრეტული მეთოდის ან მეთოდების კომბინაციის უპირატესი გამოყენება დამოკიდებულია კონკრეტული საბაკალავრო პროექტის თემაზე, კვლევის ობიექტისა და საკითხის/თემის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე. შესაძლებელია სახელმძღვანელოზე მუშაობის მეთოდის, შედარებითი ანალიზის, სისტემატური ანალიზის, დოგმატური მეთოდის, განმარტებითი მეცადინეობის მეთოდის, ინდუქციის, დედუქციის, სინთეზის და სხვა მეთოდების გამოყენება.

მაგისტრატურაში წარმოდგენილია მეთოდების მრავალფეროვნება. კერძოდ, აკადემიური სემინარები და მასტერკლასები, ინდივიდუალური მენტორობა (რეპეტიტორობა), შემთხვევის შესწავლა, შემთხვევის ანალიზი, ლაბორატორიული და პრაქტიკული აქტივობები, თანამედროვე ტექნოლოგიებთან შერწყმული სწავლება.

პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრი)	მეტწილად შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ - ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);
- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;

- უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება მაგისტრატურის დონის ხელმძღვანელის მოთხოვნებს და ასახავს პროგრამის სპეციფიკას, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. მაგისტრატურის დებულების შესაბამისად, ნაშრომის ხელმძღვანელს (რომელიც შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი ან მისი ეკვივალენტური) მოეთხოვება ჰქონდეს შესაბამისი აკადემიური ან პროფესიული გამოცდილება, რომელიც დასტურდება კვლევით საქმიანობაში და/ან შესაბამის პროფესიულ პრაქტიკაში (მათ შორის, ხელოვნების სფეროებში, შემოქმედებით ან საშემსრულებლო პროექტებში) აქტიური მონაწილეობით და შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის თემატურ მიმართულებას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები, ასევე მისი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება მაგისტრატურის დებულებით.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) ¹⁰			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანე ლები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ¹¹	მათ შორის, აფილირებუ ლი აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	10	8	7
- პროფესორი	1	0	0
- ასოცირებული პროფესორი	6	0	0
- ასისტენტ-პროფესორი		0	0
მოწვეული პერსონალი	2	1	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0
სამეცნიერო პერსონალის ჩათვლით	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 3 პერსონალის რეზიუმეები
- დანართი 11 სამაგისტრო პროგრამის დებულება
- დანართი 14 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაციები: რეკომენდაციები:	რჩევები:
--	--	--------------------------

¹⁰ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.2 <u>მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე, თანდართულ დოკუმენტებსა და ადგილზე ვიზიტის შედეგებზე

დაყრდნობით, უსდ ატარებს, აანალიზებს და აქტიურად იყენებს პროგრამის პერსონალის შეფასებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევების შედეგებს. უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პერსონალის შეფასების მრავალკომპონენტური მექანიზმი, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: სწავლებას, კვლევას და ადმინისტრაციულ საქმიანობას, ასევე პროფესიულ განვითარებას და ინტერნაციონალიზაციას, მათ შორის სწავლების ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად - პერსონალის განვითარებას საერთაშორისო გაცვლითი პროექტების მეშვეობით, კონკრეტულ პროექტებში მონაწილეობას და ციფრული პლატფორმების გამოყენებას. გარდა ამისა, უსდ მხარს უჭერს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას კვლევის ინტერნაციონალიზაციისა და ხილვადობის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე წვდომის, ციტირების ინდექსირებისა და ფინანსური მხარდაჭერის, მათ შორის, პერსონალის მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების სრული დაფინანსების გზით.

უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის მართვის ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია აკადემიური ხარისხისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის უწყვეტ გაუმჯობესებაზე. აკადემიური პროგრამების განხორციელებისას ის სისტემატურად ატარებს, აანალიზებს და აქტიურად იყენებს პერსონალის შესრულებისა და კმაყოფილების კვლევების შედეგებს. პერსონალის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს სასწავლო და კვლევით საქმიანობას. სწავლება ფასდება სტუდენტების გამოკითხვების, სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა და სასწავლო პროცესის საერთო ეფექტურობის საფუძველზე. კვლევითი საქმიანობა ფასდება უახლესი კვლევითი შედეგების სწავლებაში ინტეგრირების მოთხოვნის, ასევე ყოველწლიური ანგარიშებისა და თვითშეფასების პროცედურების მეშვეობით. ადმინისტრაციული საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტის მმართველობასა და ინსტიტუციურ განვითარებაში პერსონალის ჩართულობის საფუძველზე. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, მათ შორის პროგრამებისა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების პროფესიული განვითარებისათვის.

უნივერსიტეტი, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო, კვლევითი და, შესაბამის შემთხვევაში, მხატვრული/შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მხარდასაჭერად უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს, მათ შორის მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. ის მხარს უჭერს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მათ შორის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში, კვლევით აქტივობებსა და კონფერენციებში. უნივერსიტეტი სისტემატურად უზრუნველყოფს პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო პროექტების, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების თაობაზე მეთოდოლოგიური ტრენინგების და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებთან მუშაობის, ასევე ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში აკადემიური მობილობის შესაძლებლობების მეშვეობით.

სწავლება-სწავლის პროცესების გასაძლიერებლად დანერგილია ისეთი ციფრული ინსტრუმენტები, როგორიცაა TURNITIN (პლაგიარიზმის პრევენციისთვის) და ამერიკული საბჭოების ონლაინ თანამშრომლობის პლატფორმა (პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან). უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევის ინტერნაციონალიზაციისა და ხილვადობის მხარდაჭერას საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე (Elsevier, Scopus, Web of Science, Google Scholar) წვდომის გზით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკონტროლებს აკადემიური პერსონალის ციტირების ინდექსებს, ხოლო სამეცნიერო დეპარტამენტი თანამშრომლობს Crossref პლატფორმასთან, რათა სამეცნიერო პუბლიკაციებს მინიჭოს DOI(ციფრული ობიექტის მუდმივი იდენტიფიკატორი). უნივერსიტეტი ასევე ფინანსურ მხარდაჭერას უწევს თანამშრომლების პუბლიკაციებს, მათ შორის მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებსა და კრებულებს. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის პერსონალის მომზადებას ელექტრონული და დისტანციური სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების ეფექტურად გამოყენებაში.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 3 პერსონალის რეზიუმეები
- დანართი 16 საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დანართი 13 პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გამოკითხვების ჩატარების პროცედურა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევა; შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი <http://www.zssu.ge/zssu2/>

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევები:</u>
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <u>4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია

პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია
---	-----------------

4.4. მატერიალური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინანსებას;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამები სრულად არიან უზრუნველყოფილნი პროგრამების მიზნების განხორციელებისა და მითითებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ტექნიკური და საინფორმაციო რესურსებით.

კერძოდ, უნივერსიტეტი ზრუნავს ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე: უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ორ სასწავლო შენობაში განთავსებულია თანამედროვე სტანდარტების აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, კომპიუტერული ლაბორატორიები და საგამოცდო ცენტრი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ ორგანიზებას.

გარდა ამისა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო სივრცით, ინდივიდუალური კომპიუტერული აღჭურვილობით და ინტერნეტთან შეუფერხებელი წვდომით. სასწავლო გარემოში დაცულია უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების მოთხოვნები. შენობები აღჭურვილია ცენტრალური გათბობითა და უწყვეტი წყალმომარაგების სისტემებით; გარდა ამისა, ფუნქციონირებს სამედიცინო ცენტრი და კვების ობიექტი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეუფერხებელ ენერგომომარაგებას სარეზერვო ენერგოსისტემებისა და გენერატორის მეშვეობით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერვერული ინფრასტრუქტურის სტაბილური ფუნქციონირებისთვის.

ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების მხრივ, ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა საგანმანათლებლო ლიტერატურა. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია შეფასებისთვის წარმოდგენილი პროგრამების სილაბუსებში მითითებული ელექტრონული და ფიზიკური წიგნების კოლექციებით. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემები.

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების მხარდასაჭერად, უზრუნველყოფილია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, მათ შორის Scopus-სა და Mendeley-ზე, რაც მათ საშუალებას აძლევს გაეცნონ შესაბამის სფეროში არსებულ თანამედროვე სამეცნიერო მონაცემებს; სასწავლო კურსებში ინტეგრირებული უახლესი ინგლისურენოვანი აკადემიური ლიტერატურა მოპოვებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის რესურსებიდან. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და საბეჭდი მოწყობილობებით, ხოლო უნივერსიტეტის მასშტაბით ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი (Wi-Fi).

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს ელექტრონული სწავლების მართვის სისტემა (LMS), რომელიც

ხელს უწყობს ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების ეფექტურ, გამჭვირვალე და მოქნილ მართვას.

აღმოჩნდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილია დისტანციური სწავლებისთვის საჭირო პროგრამული და ტექნიკური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას სხვადასხვა გარემო პირობებში. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეამოწმა LMS სისტემის ფუნქციონირება და ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის შესაძლებლობები. უნივერსიტეტს შეიმუშავებული აქვს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელიც ფორსმაჟორული გარემოებების შემთხვევაში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის სტაბილურობასა და უწყვეტობას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამა მოიცავს კურსს სახელწოდებით „Global Reservation Systems“, რომელიც მოითხოვს სპეციალურ პროგრამას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა მოძიებულია, მაგრამ ამ ეტაპზე არ არის შეძენილი, რადგან, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის რჩევით, პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, რაციონალური იქნებოდა უახლესი გაუმჯობესებული ვერსიის შეძენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართი 17. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა საკუთრების/ გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრები, ლაბორატორიები და ადმინისტრაციული სივრცეების ტექნიკური აღჭურვილობა; უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები: ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების, სამედიცინო პუნქტის და შენობის ადაპტაციის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის) დამადასტურებელი ფოტოსურათები.
- ინტერვიუების შედეგები

- ადგილზე დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევები:</u>
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	არ არის მითითებული	სასურველია, დაწესებულებამ სასწავლო პროცესისთვის შეიძინოს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა „Global Reservation Systems“.
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.4. <u>მატერიალური რესურსი</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი,

ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;

- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტის ბიუჯეტი სხვადასხვა ფინანსური წყაროდან მიღებული შემოსავლების ერთობლიობაა და ყალიბდება ერთიანი, კონსოლიდირებული ბიუჯეტის სახით. აღნიშნული ბიუჯეტი მოიცავს უნივერსიტეტის დაფინანსების სხვადასხვა წყაროს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობის მდგრად ფინანსურ მხარდაჭერას.

უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროებია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ფინანსური რესურსები, მათ შორის:

- ა) საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური;
- ბ) აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სახელმწიფო საგანმანათლებლო გრანტისა და სახელმწიფო სამაგისტრო საგანმანათლებლო გრანტის ფარგლებში დაფინანსებული სწავლის საფასური;
- გ) სახელმწიფოს მიერ გაცემული საგანმანათლებლო და სოციალური გრანტებით დაფარული სტუდენტების სწავლის საფასური;
- დ) მოკლევადიანი და გრძელვადიანი გადამზადებისა და სატრენინგო პროგრამებიდან

მიღებული შემოსავლები;

ე) კერძო გრანტების, შემოწირულობებისა და ანდერძების საფუძველზე მიღებული ფინანსური რესურსები;

ვ) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

ზ) პროფესიული განათლების ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება;

თ) შესაბამისი ბიუჯეტებიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ი) უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სხვა შემოსავალი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ფინანსურ რესურსებში შედის აგრარული მიმართულებით საგანმანათლებლო პროცესში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი; ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი პროდუქციისა და ღირებულებების რეალიზაციიდან მიღებული ფინანსური სარგებელი. უნივერსიტეტის შემოსავლის წყაროს ასევე წარმოადგენს საბანკო დაწესებულებებში განთავსებული ნაღდი ფულის დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტული შემოსავალი და საქართველოს კანონმდებლობით ეკონომიკურ საქმიანობად მიჩნეული სხვა სახის შემოსავალი.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყალიბდება დაფინანსების ყველა არსებული წყაროს კონსოლიდაციის საფუძველზე და წარმოადგენს უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტს. მთელი ფინანსური რესურსი გაერთიანებულია კონსოლიდირებულ ბიუჯეტში, რომელიც, უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ნაწილდება სხვადასხვა დონის აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ განხორციელებას, ხოლო არსებული ფინანსური შესაძლებლობები ქმნის ეკონომიკურად რეალისტურ და მდგრად საფუძველს პროგრამების განსავითარებლად.

უნივერსიტეტს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში შემუშავებული სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს დაგეგმილი აქტივობების შესაბამის საბიუჯეტო უზრუნველყოფას. ზემოაღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს, მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისთვის აუცილებელ ხარჯებს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო და ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი უზრუნველყოფილია ადეკვატური ფინანსური რესურსებით. მოქმედი ფინანსური მართვის მოდელი პროგრამებს არა მხოლოდ არსებული ხარისხის სტანდარტების შენარჩუნების, არამედ უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად მათი უწყვეტი განვითარებისა და განახლების შესაძლებლობას იძლევა.

დაწესებულებამ წარმოადგინა უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგეგმილია შემოსავლებისა და ხარჯების დეტალური დაყოფით. წარმოდგენილი ბიუჯეტი ჭარბია და ასახავს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შესაძლებლობების ფინანსურ ნაწილს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევები:</u>
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩე ვები	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 1	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

(ტურიზმი, ბაკალავრიატი)		
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

კომპონენტი <u>4.5.</u> <u>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;
- სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის მხარე (დოქტორანტი, ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა)..

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს მართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო და კვლევითი პროცესების, ასევე უნივერსიტეტის მომსახურების შეფასებაში. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების მექანიზმები და პროცედურები აღწერილია დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტი ახორციელებს უწყვეტი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, რომელიც დაფუძნებულია PDCA- ზე („დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე- იმოქმედე“) ციკლზე. როგორც წესი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესს პერსონალის გზამკვლეობითა და დასაბუთებული კომენტარებისა და რეკომენდაციების შეთავაზებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკრედიტაციის სტანდარტებთან და დარგობრივ სპეციფიკურ სტანდარტებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობა. უმაღლესი განათლების პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები, საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულები და სხვა შესაბამისი

დაინტერესებული მხარეები.

თვითშეფასების ანგარიშის, დამხმარე დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, აშკარაა, რომ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავებაში, დაგეგმვასა და შეფასებაში, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვების გზით. მოწოდებული იქნა გამოკითხვის შედეგებზე დაფუძნებული ანალიტიკური ანგარიშები და რეაგირების მტკიცებულებები. თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ მათ შეზღუდული ინფორმაცია აქვთ პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობის შესახებ. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ გამოკითხული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნაწილი წარმოადგენდა მონათესავე პროგრამებს და არა განსახილველ პროგრამას. ზოგიერთმა დაადასტურა პროცესში მონაწილეობა, ზოგიერთმა კი - ვერა. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელობამ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განიხილონ გამოკითხვების გარდა უფრო ეფექტური ინსტრუმენტები და მექანიზმები, რათა უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების მნიშვნელოვანი ჩართულობა პროგრამის შეფასებაში.

წარდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები მიუთითებენ, რომ თვითშეფასების ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებისა და გადახედვის პროცესში. ჯგუფში შედიოდნენ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, სტუდენტი და დამსაქმებელი. გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რომლის დროსაც განხილული იქნა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო მონაცემები და სხვა აქტუალური საკითხები. მიუხედავად ამისა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა გამოავლინა სირთულეები თუ სიცხადის ნაკლებობა იმის ახსნასთან დაკავშირებით, თუ როგორ უწყობს ხელს მათი ინდივიდუალური კურსები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მატრიცა. განისაზღვრა პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები და სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა ეფუძნებოდეს ამ მეთოდებით შეგროვებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების

ანალიზს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო გეგმის რუკა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული სწავლის შედეგების ხელშემწყობ ძირითად სავალდებულო კურსებს და მიუთითებს მიღწევის დონეებზე (1 – გაცნობა; 2 – გაღრმავება; 3 – განმტკიცება), შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭიროებს გარკვეულ მოდიფიცირებას. ჩვენი აზრით, უნდა გადაიხედოს თითოეული სწავლის შედეგის ხელშემწყობი კურსები და შესაბამისად აისახოს სამივე დონე, რადგან სწავლის შედეგის განმტკიცებას წინ უნდა უძღოდეს მისი გაღრმავება შესაბამისი კურსების მეშვეობით და თითოეული სწავლის შედეგი საბოლოოდ უნდა დაგვირგვინდეს განმტკიცებით. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავების კუთხით, გააძლიეროს თანამშრომლობა აკადემიურ გუნდთან. გარდა ამისა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მითითებული პერიოდულობა ბუნდოვანია. ასევე აღსანიშნავია, რომ სწავლება-სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რეკომენდებული შაბლონი, როგორც ეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებშია მითითებული და მიღწევის H (მაღალი), M (საშუალო) და L (დაბალი) დონეებზე მიუთითებს, არ არის გამოყენებული.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა - მექანიზმები
- კითხვარები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- ინტერვიუები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევები:</u>
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ამასთან, შენარჩუნებული უნდა იყოს სწავლის შედეგების მიღწევის თანმიმდევრობა და პროგრესის დონეები, ხოლო შეფასების პერიოდულობა მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. აღნიშნულ პროცესში აუცილებელია პროგრამის ხელმძღვანელობის, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების აქტიური მონაწილეობა, უნივერსიტეტის სტანდარტების გათვალისწინებით.	სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, გამოკითხვების გარდა, შეიმუშაონ დამატებითი ეფექტიანი ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების არსებით ჩართულობას პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესებში.
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <u>5.1. შიდა ხარისხის შეფასება</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	მეტწილად შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

აღწერა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, დამხმარე დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, მათ შორის, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს, მასთან დაკავშირებულ პროცედურებს, ასევე პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით ამ პროცესების ფარგლებში ექსპერტების მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობენ დარგის ექსპერტები. უნივერსიტეტის რეგულაციების თანახმად, გარე შეფასების პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ დამსაქმებლებიც. განსახილველი პროგრამების შემთხვევაში, დამსაქმებლების ჩართულობა უზრუნველყოფილი იყო თვითშეფასების ჯგუფში მონაწილეობით და მათი გამოკითხვებით.

წარდგენილი პროგრამები გაიგზავნა გარე შეფასებისთვის. გარე შეფასება ჩაატარა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა. პროგრამამ ქართველი ექსპერტისაგან მიიღო დადებითი შეფასება. თუმცა, მიზანშეწონილია, ერთი მხრივ, გარე შეფასების პროცესში საერთაშორისო ექსპერტის ჩართვა და, მეორე მხრივ, გარე შემფასებლების მიერ გამოყენებული არსებული შეფასების ფორმის შემდგომი გაუმჯობესება, როგორც შეფასების კრიტერიუმების დიაპაზონის, ასევე შეფასებას დაქვემდებარებული საკითხების დივერსიფიკაციის გზით.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- გარე შეფასებები
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევები:</u>
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	არ არის მითითებული	სასურველია, პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები.
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <u>5.2. გარე ხარისხის შეფასება</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება, როგორც წესი, ხორციელდება დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამის შიდა შეფასება ხორციელდება ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით, რომელშიც მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი(ები), აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროგრამები მოდიფიცირდება და ადაპტირდება მათი უწყვეტი გაუმჯობესებისა და აქტუალობის უზრუნველსაყოფად. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებმა შეიძლება ასევე გამოიყენონ განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება, რომლებიც განახორციელებენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული ქართველი და/ ან საერთაშორისო კოლეგები. სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფასდება კოლეგიალური დაკვირვების პროცესით, რომლის დროსაც ლექციებს ესწრებიან იმავე პროგრამის, უნივერსიტეტის სხვა პროგრამის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეგები და წინასწარ განსაზღვრული

შეფასების ფორმის გამოყენებით იძლევიან უკუკავშირს.

თითოეული ძირითადი კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტები ავსებენ კურსის შეფასების კითხვარებს. შედეგები გამოიყენება ცალკეული კურსების გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად. პროგრამის ეფექტიანობა ფასდება მონიტორინგის აქტივობებით და პროგრამის ყოვლისმომცველი შესრულების ინდიკატორების გამოყენებით, რამაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს პროგრამის მოდიფიცირება და შემდგომი განვითარება.

ყოველი სემესტრის ბოლოს, პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს პროგრამის განვითარების ანგარიშს. აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, ანგარიში ანალიზებს პროგრამის ფაქტობრივ განხორციელებას და აღწერს როგორც შიდა, ასევე გარე შემფასებლების მიერ მოწოდებული რეკომენდაციების საპასუხოდ განხორციელებულ ქმედებებს. იმ შემთხვევებში, როდესაც რეკომენდაციები ვერ განხორციელდა, აღწერილია ობიექტური ბარიერები და დროში შეზღუდვები. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მზადდება ყოვლისმომცველი თვითშეფასების ანგარიში. რადგან განხილვის პროცესში მყოფი პროგრამები ახლადშექმნილია, ამ პროცედურების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები ჯერ არ არსებობს.

ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ დაწესებულება სემესტრულად ატარებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს. პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესში გამოვლინდა შრომის ბაზრის საჭიროებები და ჩატარდა გამოკითხვები სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს შორის.

პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელმა ჩაატარა ბენჩმარკინგი და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავს პროგრამებთან შედარება.

მაგისტრანტები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის კვლევითი კომპონენტის, ასევე აკადემიური ხელმძღვანელობის ხარისხის შეფასებაში, უზრუნველყოფენ შინაარსიან უკუკავშირს და ხელს უწყობენ უწყვეტ გაუმჯობესებას.

მონიტორინგის პროცესი, როგორც ჩანს, მუდმივად არის დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებასთან როგორც ფაკულტეტის, ასევე პროგრამის დონეზე, რაც აძლიერებს უკუკავშირის მარყუქს, რომელიც აუცილებელია ხარისხის ეფექტური მართვისათვის.

საერთო ჯამში, ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახდენს კარგად დოკუმენტირებული

შიდა ხარისხის მონიტორინგის ჩარჩოს დემონსტრირებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	<u>რეკომენდაციები:</u>	<u>რჩევები:</u>
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩე ვები	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <u>5.3. პროგრამის მონიტორინგი და</u>	შეფასება
--	-----------------

პერიოდული შეფასება	
პროგრამა 1 (ტურიზმი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ტურიზმის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია